

## დღეს თავისუფლების მოედანზე გაიმართება აქცია „ჰესებს შენირული სიცოცხლე“.

დღეს თავისუფლების მოედანზე გაიმართება აქცია „ჰესებს შენირული სიცოცხლე“. 14.03.2016 11:00

დღეს, 17:00 საათზე, თავისუფლების მოედანზე (ბანკი `რესპუბლიკას~ მიმდებარე ტერიტორიაზე), აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის წინ, გაიმართება მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია „ჰესებს შენირული სიცოცხლე“. აქციის ორგანიზატორები არიან მოძრაობა "მწვანე მუშტი" და "მწვანე ალტერნატივა".



აქციის ორგანიზატორები მოითხოვენ, დროულად და ობიექტურად იქნას გამოძიებული 2014 წელს დარიალის ხეობაში და 2015 წელს თბილისში სტიქიის დროს ადამიანების დაღუპვის მიზეზები/გარემოებები, განსაკუთრებით ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული პროექტების ხარისხის, ნებართვების გაცემის პროცესისა და სანებართვო პირობების შესრულების საკითხები.

მოვითხოვთ საქართველოს მთავრობამ გამოაცხადოს მორატორიუმი ჰესების მშენებლობაზე, სანამ:

არ იქნება დამტკიცებული ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მშენებლობის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა;

არ შეიმუშავებს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და სექტორის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, სხვადასხვა ენერგოსენარების დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთებს ამა თუ იმ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საჭიროებას; არ იქნება კანონმდებლობით აღიარებული და დაცული ტრადიციული მიწათსარგებლობა;

არ იქნება უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, ორპუსის კონვენციის მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მოვითხოვთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან, შეაჩეროს ყველა ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხილვა/დაფინანსება, მათ შორის ნენსკრა ჰესის, იმ დრომდე, სანამ საქართველოს მთავრობა არ შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობას და მათი შესრულება სავალდებულოა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპარლამენტის შესაბამისი რეზოლუციის (A8-0042/2014) თანახმად, \_ ნათქვამია "მწვანე მუშტისა" და "მწვანე ალტერნატივას" განცხადებაში.